საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქალაქ ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

TERRITORIAL ENTITY OF THE MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE AND YOUTH OF GEORGIA – EDUCATIONAL RESOURCE CENTER OF KHOBI

08/12/2025

MES 0 25 0001748710

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად და ამავე კოდექსის III თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და საჯარო ინფორმაციის გაცემა/არგაცემის სტატისტიკასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის ანგარიშს:

ა) რესურსცენტრში სულ 06 მოთხოვნა შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე რესურსცენტრში მოთხოვნა არ შემოსულა. რესურსცენტრის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 06 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) რესურსცენტრის საჯარო მონაცემთა ბაზა წარმოადგენს შემდეგს:

გ.ა) საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგთა და მოსწავლეთა მონაცემები;

გ.ბ) საჯარო სკოლებში არსებული სამეურვეო საბჭოს წევრთა სია;

გ.გ) ოქროსა და ვერცხლის მედალოსან კურსდამთავრებულთა მონაცემები;

გ.დ) საჯარო და კერძო სკოლების სტატისტიკური მონაცემები;

გ.ე) საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის წარჩინებული კურსდამთავრებულების მონაცემები.

დ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე შემოვიდა 06 მოთხოვნა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

საქართველო 5800, ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა № 185, ელ. ფოსტა: Khobi@mes.gov.ge
Georgia 5800, Khobi, Tsotne Dadiani street #185, Email: Khobi@mes.gov.ge

ე) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ვ) ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ზ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის ,,ზ'' პუნქტის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა. აქედან გამომდინარე არ გვაქვს ინფორმაცია გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების და მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების თაობაზე.

ამასთან ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2025 წლის წლიურ ანგარიშს წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	06 (ექვსი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	06(ექვსი)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0(ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	06(ექვსი)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0(ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0(ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0(ნული)
დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0(ნული)

პატივისცემით,

ქალაქ ხობის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსი
არაბული ანა

ბიბლიოგრაფიული
მზაბეჭდსმეღია
ელექტრონული